

ანი წიკლაური

PR-ისა და კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა

კავკასიის მედიის სკოლა

ლაიფციგის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, გერმანია

Erasmus+ გაცვლითმა პროგრამამ HTWK Leipzig-ში ჩემი აკადემიური გამოცდილებისთვის კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი საფეხურის შემატების საშუალება მომცა. გერმანიაში, კერძოდ ლაიფციგში გატარებული სემესტრი საერთაშორისო მენეჯმენტის მიმართულებით, საინტერესო, პროდუქტიული და სასარგებლო ეტაპი აღმოჩნდა.

სასწავლო კურსები მოიცავდა რეალური ბიზნეს-მაგალითების განხილვას, პრაქტიკულ დავალებებსა და ჯგუფურ პროექტებს, რამაც საერთაშორისო მენეჯმენტის თანამედროვე ტენდენციებზე უფრო ფართო წარმოდგენა შემექმნა. ლექტორების ღია დამოკიდებულებამ და ჯანსაღმა უკუკავშირმა სასწავლო პროცესში აქტიური ჩართულობა გამიადვილა. ამასთან, სხვადასხვა ქვეყნისა და კულტურული წარმომავლობის სტუდენტებთან ერთად სწავლამ, გუნდურმა მუშაობამ და იდეების გაზიარებამ ჩემი პროფესიული თვალსაწიერი კიდევ უფრო გააფართოვა.

აკადემიურ მხარესთან ერთად, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა თავად ქალაქის გარემოსაც. ლაიფციგი ძალიან მოსახერხებელი, დინამიკური და სტუდენტური ქალაქია, სადაც პირველივე დღეებიდან მარტივი აღმოჩნდა ადგილობრივ ცხოვრების რიტმში ჩართვა და უნივერსიტეტის ყოველდღიურობასთან შეგუება. შეძენილი ცოდნა, მიღებული გამოცდილება და საერთაშორისო კონტაქტები ჩემთვის ძალიან ღირებულია და მჯერა, რომ მომავალშიც გამომადგება.

მიხარია, რომ ჩემმა უნივერსიტეტმა მომცა საშუალება გამომეყენებინა ეს შანსი. ეს იყო ნამდვილად სწორი და დროული გადაწყვეტილება, როგორც პიროვნული ზრდის, ისე მომავალი კარიერული განვითარების თვალსაზრისით.